

ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ოქმი № 2

16 .03.2018 წელი

ქ.ლაგოდეხი

სხდომას ესწრებოდნენ:

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე: კარლო ჯამბურია

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის)

დღის წესრიგი:

1. პრეზენტაცია

(მომხსენებელი: სალომე ღონღაძე)

2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ  
ჭრილში

(მომხსენებელი: ნინო გელაშვილი)

3. სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: სალომე ღონღაძე)

4. სხვადასხვა

მოისმინეს: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სალომე ღონღაძემ წარმოადგინა გენდერულ თემატიკაზე გამართულ ტრენინგის მასალები.

დაადგინეს: გენდერული საბჭოს მუშაობის ეფექტურობის გაძლიერების მიზნით ჩატარდეს სპეციალურად საბჭოს წევრებისათვის შეხვედრები ტრენინგის ფორმატში.

მოისმინეს: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის, საქმის წარმოების და ადმინისტრაციული ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა ნინო გელაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მასშტაბით დასაქმებულ ქალთა და მამაკაცთა სტატისტიკური მონაცემები. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა ჭიაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მოკვლევის განხორციელება.


დაადგინეს: გაგრძელდეს დასაქმებულთა სტატისტიკის წარმოება გენდერულ ჭრილში.

მოისმინეს: გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის პროექტის შესახებ.

დაადგინეს: გაგრძელდეს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების მიერ სამოქმედო გეგმის პროექტის დეტალური განხილვა და საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბება.

გენდერული თანასწორობის საბჭოს


თავმჯდომარე:



/ კარლო ჯამბურია/

გენდერული თანასწორობის საბჭოს

მდივანი:

თ. 

/ თამარ მუმლაძე/